აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის

კანონი

,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აფხაზეთის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აფხაზეთის კანონში (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო მაცნე, №4, 30.11.2004 წელი, მუხ. 7) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-12 მუხლის ,,დ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,დ) ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;“.

2. 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ამ კანონის ძალაში შესვლასთან დაკავშირებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ უზრუნველყოს კანონმდებლობით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის მე-2 მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.
2. ამ კანონის მე-2 მუხლი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აფხაზეთის ავტონომიური
რესპუბლიკის მთავროის
თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი **ვახტანგ ყოლბაია**

30 დეკემბერი 2013 წ.

ქ. თბილისი

N183-ს